

გივი თალაკვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ი. ჟორდანიას სახ. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის განყოფილების გამგე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი ანალიტიკისა და პროგნოსტიკის ცენტრის ხელმძღვანელი.

givitala@yahoo.com; 577.401.003.

ინტეგრალური რესურსების მართვის ეფექტიანობის შესახებ.

რას ვფლობთ, რა გვსურს, რა შეგვიძლია.

ანოტაცია

მიზანშეწონილად მიჩნეულია ინფლაციის ზოგად მაჩვენებელთან ერთად გამოყენებულ იქნას მისი კერძო - **პარციალური** კატეგორიები, რაც მოგვცემს საშუალებას მოსახლეობის ცალკეული კატეგორიების შემოსავლებისა და დანახარჯების კორელაციის ანალიზის უკეთეს წარმართვას. ინფლაციის პარციალურ კატეგორიებად შემოთავაზებულია: გარდაუვალი დანახარჯების ინფლაცია, რეგულარული ხარჯების ინფლაცია, ხელოვნურად გაზრდილი ხარჯების ინფლაცია და კრიმინალური კომპონენტების შემცველი ინფლაცია.

პანდემიამ და რუსეთ-უკრაინის ომმა მკაფიოდ გამოკვეთეს არსებული ძირეული პრობლემები: ერთ შემთხვევაში - ადამიანური რესურსების ე.წ. „სიჭარბე“ და მეორე შემთხვევაში - რესურსების უკმარისობა.

გამოიკვეთა ასევე, რეალობის რამდენიმე სახეობა, რომლებშიც ადამიანებს უხდებათ ცხოვრება: ობიექტური რეალობა (სამყაროს განვითარების უნივერსალური კანონზომიერებები, დრო, სივრცე, ენერგია); ინდივიდუალური რეალობა (საკუთარი შეგრძნებების, ცნობიერების, მიზნების, მისწრაფებების სიმრავლე); მაკრო-რეალობა (გარესამყარო, ზოგადი პროგრესი, ელიტები, რეალური და წარმოსახვითი შედეგები); მიკრო-რეალობა (ქალაქი, სოფელი, ოჯახი, სამუშაო, ინდივიდუალური მიღწევები და წარუმატებლობები).

მიუხედავად მრავალი დადებითი ტენდენციისა, რომლითაც ხასიათდება საქართველოს ეკონომიკური სფერო და არანაკლებ პოზიტიური პროგნოზებისა - განსაკუთრებით უახლოეს ოთხ-ხუთ წელიწადში ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით, სულ უფრო და უფრო იკვეთება განვითარების ხარისხის პრობლემა.

მიმდინარე ეტაპის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებად და მთავარ მახასიათებლად უნდა ჩავთვალოთ მსოფლიო ელიტების უკვე დაუფარავად მიმდინარე კონსოლიდაცია და ზე-გლობალური, ზე-ტრანსნაციონალური და ზე-ტრანსსახელმწიფოებრივი სისტემების ფორმირება.

საკვანძო სიტყვები

პარციალური ინფლაცია; რეალობის კატეგორიები; განვითარების ხარისხი;

საერთაშორისო ელიტების კონსოლიდაცია.

რამდენიმე წელია ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ შრომებსა და პუბლიკაციებში, ჩატარებულ პრეზენტაციებში ყურადღებას ვამახვილებთ საქართველოს პრიორიტეტებსა და რესურსებზე, თუმცა მსჯელობის მცირე მასშტაბებისა საკითხების მრავალფეროვნების გამო, ყურადღება ამ პრობლემების მიმართ არასაკმარისია. მიუხედავად მრავალი დადებითი ტენდენციისა, რომლითაც ხასიათდება საქართველოს ეკონომიკური სფერო და არანაკლებ პოზიტიური პროგნოზებისა - განსაკუთრებით უახლოეს ოთხ-ხუთ წელიწადში ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით, სულ უფრო და უფრო იკვეთება **განვითარების ხარისხის პრობლემა**. ერთი შეხედვით, გასაკვირი და უჩვეულო არაფერია, მაგრამ ადგილობრივი პროდუქციის ხარისხი, განსაკუთრებით სამრეწველო და აგრარული პროდუქციისა, არ უმჯობესდება და რაოდენობრივადაც კლებულობს. უნდა დავაზუსტოთ, რომ საუბარი არ არის სამომხმარებლო კალათის 305-ვე პოზიციაზე, რომელთა სრული ათვისება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 4-5%-ისთვის თუ არის მისაწვდომი. იგულისხმება პირველადი მოხმარების პროდუქცია და მომსახურება, სადაც ინფლაცია გაცილებით მაღალია **ზოგადი ინფლაციის** მაჩვენებლებსა და ეკონომიკური ზრდის ტემპებზე.

არსებული ვითარების ობიექტური ანალიზის გარეშე, შეუძლებელი იქნება ამ ვითარების გამოსწორება. ინფლაციის დასახასიათებლად მართებული იქნებოდა არა მხოლოდ ზოგად ინფლაციაზე არამედ ე.წ. „პარციალურ“ ინფლაციების ანალიზი.

რას წარმოადგენს პარციალური ინფლაციები?

პირველი - გარდაუვალი დანახარჯების ინფლაცია, რომელიც შეიცავს კომუნალურ, სატრანსპორტო, კომუნიკაციურ, სადაზღვევო, სურსათით უზრუნველყოფის, სამედიცინო მომსახურებას, პირველადი მოხმარების საგნებისა და მომსახურების დანახარჯებს (პირადი ჰიგიენის, საყოფაცხოვრებო ქიმიის, დასუფთავების, ჯარიმების და საურავების, საბანკო დასაფინანსო მომსახურების და ა.შ.). ინფლაცია ამ სფეროებში ყოველთვიურად იზრდება და 20-50%-ის ფარგლებშია. შრომის ანაზღაურების (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა), საპენსიო, შემწეობათა და სხვადასხვა სახის დახმარებების სფეროში ინდექსაციის არ არსებობა უკიდურესად ართულებს მოსახლეობის უმეტესობის ცხოვრებას და უარესის მოლოდინს უფორმირებს.

მეორე - რეგულარული ხარჯების ინფლაცია, რომელიც სკოლამდელ სასკოლო, პროფესიულ და უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებულ პირდაპირ და ირიბ დანახარჯებს (სწავლის საფასური, სახელმძღვანელოები, საკანცელარიო ნივთები), ავადმყოფ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოვლას, სარიტუალო მომსახურების ხარჯებსა და ა.შ. შეიცავს.

მესამე - ხელოვნურად გაზრდილი ხარჯების ინფლაცია - არა ადექვატური ჯარიმები, საბანკო-საფინანსო მომსახურების, რომლითაც თითქმის საქართველოს ორი მილიონი სარგებლობს, უპრეცედენტოდ მაღალი განაკვეთები, ნოტარიალური და სახელმწიფო რეესტრის მომსახურების ხარჯები, სადაც შემოსავლებისა და წმინდა მოგებების მაჩვენებლებმა კრიტიკული და გონივრული ზღვარი გადალახეს და სოციალურად ფეთქებად საშიშ სივრცეში გადაინაცვლეს.

მიუხედავად ხელისუფლების მიერ ბოლო ხანებში გატარებული პოზიტიური ღონისძიებებისა, განსაკუთრებით მედიკამენტების ფასებთან დაკავშირებით, აუცილებელი რეგულირების მექანიზმები ან საერთოდ არ არსებობს ან ძალიან სუსტია. განსაკუთრებით ეს ეხება სათამაშო ბიზნესსა და სხვადასხვა სახის ონლაინ

მომსახურებას, სავაჭრო ობიექტების ე.წ. „აქციებსა“ და „შელავათებს“ რომელთა დროს ხორციელდება დაბალი ხარისხის ან სულაც ვადაგადაცილებული და ზოჯერ ფალსიფიცირებული პროდუქციის რეალიზაცია.

მეოთხე - კრიმინალური კომპონენტების შემცველი ინფლაცია - აქ მოულოდნელად გახმაურებული „ქოლ-ცენტრების“ პრეცედენტიდან დაწყებული, სხვა სფეროებში არსებული ნეგატიური და მოსახლეობის ფართო მასების ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმართული უამრავი მაგალითი არსებობს.

2019 წლის ბოლოს კაცობრიობის განვითარების ვექტორი მკვეთრად შეიცვალა. დაიწყო გაურკვეველი საწყისის მქონე საერთაშორის ოპერაცია „პანდემია კოვიდ-19“. 2020-21 წლები გლობალური პანდემიის ნიშნით წარიმართა. გლობალურმა ეკონომიკამ უძლიერესი დარტყმა მიიღო, თუმცა არავითარ დარტყმა არ მიუღია პანდემიის რეალურ ორგანიზატორებს. პირიქით, ბევრმა ე.წ. „პანდემიის“ წინააღმდეგ ე.წ. მეზრძოლებმა, საკუთარი მდგომარეობა გაიუმჯობესეს კიდევ.

საქართველოს, სამწუხაროდ აღმოჩნდა მსოფლიო ლიდერი, როგორც 2020-2022 პერიოდში პანდემიის შედეგად გარდაცვლილთა (მ.წ. 12.05-ის მდგომარეობით- 17,060, რაც გლობალურ შესაბამის მაჩვენებლებზე 5,4-ჯერ უფრო მაღალია) და დაავადებულთა (მ.წ. 12.05-ის მდგომარეობით-1,841,012, რაც გლობალურ შესაბამის მაჩვენებლებზე 5,8-ჯერ უფრო მაღალია) მხრივ. **უცნაურია და აღმაშფოთებელი, რომ ამ პერიოდის განმავლობაში, საქართველოს სამედიცინო მომსახურების ხელმძღვანელების საქმიანობის არანაირი ანალიზი არ გამოქვეყნებულა და არც ერთი მათგანის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა.**

დღეს მთელს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც კულტივირებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ხსენებულმა პანდემიურმა მოვლენებმა და განსაკუთრებით 2022 წლის თებერვალში დაწყებულმა რუსეთ-უკრაინის ალოგიკურმა ომმა, შექმნა ახალი გლობალური რეალობა და ხელი შეუწყო კაცობრიობის განვითარების გადაფორმირებას.

ეს არ არის სწორი.

პანდემიამ და რუსეთ-უკრაინის ომმა მკაფიოდ გამოკვეთეს არსებული ძირეული პრობლემები: ერთ შემთხვევაში ადამიანური რესურსების ე.წ. „სიჭარბე“ და მეორე შემთხვევაში - რესურსების უკმარისობა.

მკაფიოდ გამოიკვეთა რეალობის რამდენიმე სახეობა რომლებშიც ჩვენ გვიხდება ცხოვრება:

1. **ობიექტური რეალობა** - სამყაროს განვითარების უნივერსალური კანონზომიერებები, დრო, სივრცე, ენერჯია, ინტეგრალური რესურსები.
2. **ინდივიდუალური რეალობა** - საკუთარი შეგრძნებების, ცნობიერების, მიზნების, მისწრაფებების სიმრავლე.
3. **მაკრო-რეალობა** - გარესამყარო, ზოგადი პროგრესი, ელიტები, რეალური და წარმოსახვითი შედეგები;
4. **მიკრო-რეალობა** - ქალაქი, სოფელი, ოჯახი, სამუშაო, ინდივიდუალური მიღწევები და წარუმატებლობები.

დედამიწაზე მცხოვრებ 8 მილიარდზე მეტ ადამიანს უხდება ერთდროულად ამ ოთხივე რეალობაში ცხოვრება და ფუნქციონირება, მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებში მონაწილეობა.

საქართველოს როლი ამ ოთხივე რეალობის ჩამოყალიბებაში თავისებურია, ხოლო მიმდინარე გლობალურ პროცესებში კი - უკიდურესად მცირე, მაგრამ ამ პროცესების გავლენა საქართველოს რეალიებზე - ძალიან მაღალია, შეიძლება ითქვას - გადამწყვეტიც. საქართველომ და მისმა მსგავსმა ქვეყნებმა მცდელობა არ უნდა დააკლონ საკუთარი ინტერესების დაცვას და საკუთარი მოსახლეობის დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესების შესაბამისი მოქმედებების განხორციელებას.

დაწყებული გასული საუკუნის 70-80 წლებიდან, როდესაც ნათელი გახდა არსებული მსოფლიო მოწყობის მოწყვლადობა, დაიწყო რეალური საერთაშორისო ელიტების კონსოლიდაცია პრინციპულად ახლებური გლობალური კონსტრუქციების დაპროექტების და რეალიზაციის მიზნით. ამჟამად ამ პროცესის

გადამწყვეტ სტადიას ვუახლოვდებით, რომლის მთავარ თავისებურებად არ უნდა მივიჩნიოთ არც გიგანტური ეკონომიკების (აშშ, ჩინეთი, ევროკავშირი, ინდოეთი, AUKUS) და არც აგრესიული ხასიათის გავლენების სუბიექტების (რუსეთი, მუსლიმანური სამყარო, ჩრდილო კორეა, თურქეთი) მიერ დეკლარირებული და ნაწილობრივ რეალიზებული პროექტები - რუსეთის მიერ უკრაინისა და საქართველოს ნაწილობრივი ოკუპაცია, აშშ-ის ელვისებური გასვლა ავღანეთიდან, ჩინეთის, გლობალური კრიზისის მიუხედავად, ტექნოლოგიური და ინდუსტრიული გარღვევები, ინდოეთის სტაბილური და „უხმაურო“ პროგრესი.

მიმდინარე ეტაპის ძირითად თავისებურებად და მთავარ მახასიათებლად უნდა ჩავთვალოთ და ვაღიაროთ მსოფლიო ელიტების ხსენებული და უკვე დაუფარავად მიმდინარე კონსოლიდაცია და ზე-გლობალური, ზე-ტრანსნაციონალური და ზე-ტრანსსახელმწიფოებრივი სისტემის ფორმირება, რომლის მკაფიო დასტურია ნახსენები „მოულოდნელი“ პანდემია კოვიდ-19 და მისი გლობალური განვითარების ფაქტორად ფორმირება, რუსეთ - უკრაინის (სინამდვილეში კი „კოლექტიური დასავლეთის“) ომი, „ინკლუზიური კაპიტალიზმის“, ერთი შეხედვით არა კონფლიქტური თეზისები, რომელთა მხარდამჭერად და თანაავტორადაც კი, არც მეტი და არც ნაკლები - ვატიკანი მოგვევლინა, ფეისბუკის შემქმნელის მარკ ცუკერბერგის ტექნო-სოციალური პროექტის „მეტა-სამყაროს“ ინტენსიური ფორმირება და ა.შ.

როგორ გამოიყურება საქართველო ამ მოვლენების და პროცესების გათვალისწინებით, თავისუფალი და გონიერი განვითარების რა ხარისხს ფლობს იგი სადღეისოდ? რა არის მისი ძირითადი მიზიდულობის არსი? რა პოტენციალს ხედავენ მასში მსოფლო თანამეგობრობის ძირითადი აქტორები ?

ძალიან ფრთხილად და კვალიფიციურად უნდა გავცეთ პასუხები ამ კითხვებს და რაც მთავარია, ჩვენი მოქმედებები პრაგმატიზმს, საკუთარი ისტორიულ-

კულტურული ტრადიციების შენარჩუნებას და სასურველი მომავლის მშენებლობის ალგორითმებს უნდა დაუქვემდებაროთ.

არ არის გამორიცხული, რომ სუპერ კომპიუტერების, ნეიროქსელების, ხელოვნური ინტელექტის ხარისხი იმდენად მაღალი აღმოჩნდეს, რომ მოხდეს **თვისობრივი ნახტომი** (ადამიანის კონტროლის სივრციდან გასვლის ჩათვლით) და ახალ „პროდუქტს“ გაუჩნდეს **თვითიდენტიფიკაციის უნარი**, ანუ გაუჩნდეს საკუთარი „მე“, რაც ნიშნავს იმას, რომ კლასიკური ცოცხალი არსების მსგავსად განუვითარდება თავდაცვის, საკუთარი სურვილების რეალიზაციის და განხორციელების განწყობებიც და მექანიზმებიც.

ასეთი სიტუაცია კი უკვე აშკარა საფრთხის შემცველი იქნება, რადგან სრულიად შესაძლებელი გახდება, რომ „პროდუქტის“ უნარები შეუდარებლად ძლიერი და რაც მთავარია **თვითგანვითარებადიც** აღმოჩნდეს ჩვეულებრივი ადამიანების უნარებთან შედარებით, რომლებსაც უამრავი ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და მორალური ჩარჩოები და შეზღუდვები გააჩნია.

ამ მხრივ მიმდინარე კვლევითი და ტექნოლოგიური სამუშაოების კოორდინაცია ფაქტიურად არ მიმდინარეობს და რომც მიმდინარეობს, ნაკლებ სავარაუდოა მისი შესრულება. ასე რომ, საშიში მიმართულებებით „მოდრაობა“ სულ უფრო და უფრო ალბათური ხდება.

სავარაუდოდ, არის გარკვეული ჯგუფი აქტორებისა, ვისაც მიაჩნია, რომ მათ კორპორაციულ ინტერესებზე დამყარებული მონიტორინგისა და ზემოქმედების სისტემები არ მისცემენ საშუალებას „პროდუქტს“ ზემომოყვანილი სქემების განხორციელებისა.

მაგრამ ეს პოზიცია, თუნდაც გარკვეულად დასაბუთებული და არგუმენტირებულიც, შიძლება ხუხულასავით დაინგრეს უამრავი, მათ შორის სადღეისოდ უხილავი, მაგრამ პროგნოზირებადი ფაქტორების არსებობის გამო.

თითქმის საუკუნის მესამედი გავიდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან. 1991 წლის 9 აპრილს საქართველო და მისი

მოსახლეობა ახალ რეალობაში აღმოჩნდა. დასაბამი მიეცა ქვეყნის მომავლის განმსაზღვრელ უმნიშვნელოვანეს მოვლენებსა და პროცესებს. განვლილი 32 წლის შემდეგ, ზოგადი შეფასებით, საქართველო დღეს არის მსოფლიო თანამეგობრობის სრულფასოვანი და სრულფასოვანი წევრი. მისი განვითარება და პერსპექტივები დიდწილად დამოკიდებულია რეგიონული და გლობალური პროცესების ადეკვატურ შეფასებაზე, ამ პროცესებში საკუთარი ადგილისა და ფუნქციის მკაფიო განსაზღვრაზე, წინსვლითი განვითარების უზრუნველყოფი პროგრამის ჩამოყალიბებასა და რეალიზაციაზე.

დღეს საქართველო, ერთ-ერთი მსოფლიოს 253 ქვეყნიდან (მათ შორის 193 გაეროს წევრია) გზაგასაყარზეა. არჩევანი ორია:

პირველი: გააგრძელოს გლობალური გეოპოლიტიკისა და გეოეკონომიკის არიერგარდში ყოფნა, სხვა - გავლენიანი და აქტიური ქვეყნების ინტერესებს დაქვემდებარებულ პროცესებში პასიური მონაწილეობა.

მეორე: გადადგას თამამი, მაგრამ მრავალი უმაღლესი პასუხისმგებლობით აღჭურვილი ნაბიჯები, გამოვიდეს მოულოდნელი, მაგრამ ეფექტიანი ინიციატივებით, რომელთა ძირითადი მიზანი საკუთარი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება და გაძლიერება, გლობალური ინოვაციური განვითარების სივრცეში მკაფიო და მყარი ადგილის დაკავება, საკუთარი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების რადიკალური გაუმჯობესება იქნებოდა.

აქვს თუ არა ქვეყანას, რომლის ტერიტორიის 20% დროებით, თუმცა უკვე დიდი ხნის განმავლობაში, ოკუპირებულია, რომლის მოსახლეობა 35 წლის წინანდელ რიცხოვნობასთან შედარებით 32%-ით არის შემცირებული და რომლის ეკონომიკური მაჩვენებლები, მიუხედავად 2021-2022 წლებში შესამჩნევი, მაგრამ ძირითადად გარეშე გარემოებათა გავლენით გაუმჯობესდა, განვითარების კრიტიკული ზონებიდან გასვლა? რეალურია თუ არა განვითარების მეორე გზა?

უთუოდ და საკმაოდ საფუძვლიანიც.

წლების განმავლობაში, დაწყებული ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან, აქტიურად მკვიდრდებოდა აზრი იმის შესახებ, რომ საქართველო არის მცირერესურსიანი ქვეყანა, რომლის ძირითადი მწარმოებლური პოტენციალი შემოიფარგლებოდა მანგანუმით, ციტრუსებით, ჩაით, მინერალური წყლით, ღვინით და ზოგიერთი სხვა პროდუქტით.

რეალობა, საბედნიეროდ, სულ სხვაა და გაცილებით უკეთესი.

ამავე დროს, მთელი რიგი სუბიექტური მიზეზის გამო, ქვეყანამ **თავი ვერ დააღწია ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაბალ ტემპებს, რაც მისი მოსახლეობის დიდი ნაწილის მძიმე სოციალური პირობების ძირითადი მიზეზია.**

მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ 1990-2020 წლებში მსოფლიოს ქვეყნების მშპ ზრდის რეიტინგში საქართველოს 197 ქვეყანას შორის ბოლოდან მეოთხე ადგილზეა და უსწრებს მხოლოდ ბრუნეის, ბარბადოსსა და უკრაინას) შედარებისათვის, ამავე პერიოდში მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის საშუალო ტემპი შეადგენს 453%, ევროკავშირის -322%, თურქეთის - 517%, აზერბაიჯანის - 387%, სომხეთის - 402%, , ჩინეთის -2178%.

ასეთი სავალალო შედეგები განაპირობა:

- აღნიშნულ პერიოდში საქართველოში მრავალი სამრეწველო დარგის და ობიექტის განადგურებამ;
- ადგილობრივი სანედლეულო ბაზის საფუძველზე ინდუსტრიულმა განუვითარებლობამ;
- საექსპორტო პოტენციალის მქონე პროდუქციის წარმოებისადმი უყურადღებობამ;
- უახლესი და პერსპექტიული ტექნოლოგიებით დაუინტერესებლობამ.

ამ საკითხებისადმი პასიური პოზიცია უახლოეს წლებშივე, მაღალი ალბათობით, გამოიწვევს თვისობრივად ახალი ეკონომიკური რეალობის ჩამოყალიბებას, რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებზე მკვეთრად უარყოფით გავლენას მოახდენს.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში გატარებულმა 70-მა წელმა განაპირობა ჩვენს ინდუსტრიულ, აგრარულ, სანედლეულო, სასურსათო უზრუნველყოფის სფეროებში გარკვეული პროგრესი, მაგრამ ამავე დროს იზოლირებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში ყოფნამ კეთილდღეობის წარმოსახვითი და მყიფე წარმოდგენების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ამდენად, მიმდინარე ეტაპის უმთავრესი ამოცანაა ქვეყნის წინსვლითი განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების დადგენა, ინტეგრალური რესურსების ოპტიმალური მართვისა და რაციონალური ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გატარებით, განვითარების მკაფიო სამიზნე პარამეტრების ჩამოყალიბებით, ახალი საერთაშორისო ურთიერთობების შექმნითა და ქვეყნისთვის სასარგებლო კავშირებსა და ალიანსებში გაწევრიანებით, საქართველოს ინტენსიური წინსვლითი განვითარების უზრუნველყოფა, და არა შორეულ პერსპექტივაში არამედ უახლოესი, თუნდაც 2024 წლიდან დაწყებული.

რატომ 2024-დან და არა 2023-დან? ნუთუ გადაწყვეტილების მიღებას 1 წელი ესაჭიროება? საქმე ის არის, რომ 2023 წელი უნდა გამოყენებულ იქნას შემდეგ კითხვებზე მკაფიო, სრულყოფილი და ობიექტური პასუხების გაცემას:

1. რას ვფლობთ?
2. რა გვსურს?
3. რა შეგვიძლია?

პირველ კითხვაზე პასუხის გასაცემად, უნდა მოვახდინოთ ჩვენი არსებული ყველა შესაძლებლობების, ანუ ინტეგრალური რესურსების კვალიფიციური და სრული დადგენა და აღწერა. ეს ამოცანა საკმაოდ რთულია, რადგან ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია და მონაცემები, რომელთა ნაწილის ასაკი ზოგჯერ 50-60 წელს შეადგენს, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით უნდა გადამოწმდეს და მიმდინარე მდგომარეობის შესაბამისად და დაკორექტირდეს.

მეორე კითხვაზე პასუხის გასაცემად, საჭიროა ქვეყნის წამყვანი პროფესიონალებისა და ხელისუფლების პასუხისმგებელი წარმომადგენლების აქტიური და ოპერატიული ერთობლივი მონდომებით, ქვეყნის სოციალურ-

ეკონომიკური განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგრამებისა და შესაბამისი გეგმების შემუშავება და, რაც მთავარია, მათი რეალიზაციის უზრუნველყოფი მონიტორინგისა და კორეგირების სისტემების შექმნა და ამოქმედება.

მეორე კითხვის პასუხი ნაწილობრივ გაცემული იქნება პირველ კითხვაზე გაცემულ პასუხებში, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რას ვაკისრებთ და რას მოველით თუნდაც საქართველოს განათლების სისტემისგან, რომლის სადღეისო მდგომარეობა როგორც სხვადასხვა საერთაშორისო სტრუქტურების მიერ ჩატარებული კვლევებიდან ირკვევა, არასახარბიელოა და არც ქვეყნის ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებსა და არც თანამედროვე მოთხოვნებს არ შეესაბამება.

ყველაზე რთული მესამე კითხვაა,

მასზე პასუხის გასაცემად შესამუშავებელია ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური განვითარების სტრატეგია და შესაბამისი მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სამოქმედო პროგრამები. მსჯელობა ამ საკითხებზე ქრონიკულ ხასიათს იღებს, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებათა ამ საკითხისადმი არასათანადო ყურადღების გამო, საბოლოო, სრულყოფილი და მოსახლეობის უმრავლესობისათვის მისაღები დოკუმენტის ჩამოყალიბება 32 წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა. მეტიც: სრულიად არასაკმარისი ყურადღება ეთმობა განათლების სრულყოფის, თანამედროვე სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების უპირატეს განვითარებას, ამ სფეროებში წამყვან საერთაშორისო დონეზე მომუშავე ცენტრებთან თანამშრომლობას. რეფორმების გატარება განათლების სიტემით არსებითი რეფორმირებითაა დასაწყები. ეს სფერო ერთადერთია, სადაც მის მიერ (სკოლები, სასწავლებლები, უმაღლესი სკოლები) გამოშვებული „პროდუქციის“ ხარისხისა და უკუგების არათუ სრულყოფილი ანალიზი, არამედ ზედაპირული მონიტორინგიც არ ხორციელდება. მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები მოსწავლეთა და პედაგოგთა რიცხოვნობისა და სასწავლო დაწესებულებებში არსებული პროგრამების შესახებ არ იძლევა რეალურ

წარმოდგენებს მათი მოსწავლეების, სტუდენტების, მაგისტრანტების და დოქტორანტების კვალიფიკაციასა და გამოყენებადობის ხარისხის მიმდინარე მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

ინტეგრალური რესურსების მართვის ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი საბაზო ფაქტორია ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორების ობიექტურობა. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საშუალო და მინიმალური ხელფასის, საარსებო მინიმუმის, პროდუქციის თვითღირებულებაში ხელფასის წილის, ბუნებრივი და დემოგრაფიული რესურსების, ენერგეტიკული დარგის უალტერნატივო განვითარების, სელექტიბური რესურსების შენახვისა და რეაბილიტაციის საკითხებს, სხვა აქტუალური გამოწვევებისადმი აქტიური და შემოქმედებითი, ზოგჯერ კი არატრადიციულ მიდგომებს.

Resume

On the effectiveness of integral resource management.

What we own, what we want, what we can do.

It is considered expedient to use its different, partial categories together with the general index of inflation, which will allow us to conduct a better analysis of the correlation of incomes and expenses of individual categories of the population. The partial categories of inflation are: inevitable cost inflation, regular cost inflation, artificially increased cost inflation, and inflation with criminal components.

The pandemic and the Russia-Ukraine war have clearly highlighted the existing fundamental problems: in one case - the so-called shortage of human resources. "Abundance" and in the second case - shortage of resources and their decisive role in global development.

Several types of reality in which people have to live have been identified: objective reality (universal regularities of the development of the universe - time, space, energy); individual reality (set of own sensations, awareness, goals, aspirations); macro reality (countries of the world, general progress, governments, real and imagined oppositions); Micro-reality (city, village, family, work, individual achievements and failures).

Regardless of the many positive trends that characterize the economic sphere of Georgia and no less positive forecasts - especially regarding the economic growth in the next four to five years, the problem of the quality of development is becoming more and more apparent. One of the main features and main characteristics of the current stage should be considered and recognized the ongoing consolidation of world elites and the formation of super-global, super-transnational and super-transstate systems.

Key Words

partial inflation; reality categories; quality of development; international elite consolidation.

ლიტერატურა

1. გ.თალაკვაძე

„ინტეგრალური რესურსების მართვის ოპტიმიზაცია-მდგრადი განვითარების საფუძველი“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 100 წლისთავისადმი და ი.ჟორდანიას 90 წლისთავისადმი მიძღვნილი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, თბილისი, 2021.

2. Г.Талаквдзе, З. Ломсадзе, И.Арчвадзе

„Приоритеты и ресурсы Грузии: мифы, история, перспективы ИЭПУР АН Украины, «Экономика природопользования и устойчивое развитие», №8(27), с.с. 95-103, 2020, Киев.

3. ნ.ჭითანავა

საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია. “ივერიონი“, თბილისი, 2018.

4. გ.თალაკვაძე

ინტეგრალური რესურსების კლასიფიკაციის საკითხისათვის“, „ბიზნეს-ინჟინერინგი“ #3-4, გვ. 107-111, 2021.

5. გ.თალაკვაძე

„30 წელი. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მეოთხე ათწლეულის ზღურბლზე“. „ნეკერი“, თბილისი, 2020.

6. გ.თალაკვაძე

„მთავრობას უნდა შეეძლოს თამამად თქმა - ჩვენ ვიცით არა მხოლოდ ის, თუ რა უნდა გაკეთდეს საქართველოში, არამედ ისიც, თუ როგორ უნდა გაკეთდეს, „ინტერპრესნიუსი“. თვალსაზრისი, თბილისი, 2020.

7. Г. Талаквдзе

«Социальные, экономические и мировоззренческие последствия Пандемии Covid-19». Мультидисциплинарный международный научный журнал “Science of Europe”, Vol.3, №60, с.с. 44-50. 2020.

8. გ.თალაკვაძე

„სასწავლო-საგანმანათლებლო კურსი „რესურსმცოდნეობა“, სტუ ი.ჟორდანიას სახ. საწ.ძალების და ბუნებრივი რესურსების შემსწ. ცენტრი, <http://gtu.ge>, 10.01.2022.

9. გ.თალაკვაძე

„ინტეგრალური რესურსების მართვის ოპტიმიზაცია-ქვეყნის მდგრადი განვითარების ძირითადი პირობა“, „საქართველოს საწარმოო ძალები და ბუნებრივი რესურსები“, 1(2), გვ.54-64, 2022.

10. გ.თალაკვაძე

„ინტეგრალური რესურსების უნივერსალური კლასიფიკაცია - ახალი ხედვები და მიდგომები“, „საქართველოს საწარმოო ძალები და ბუნებრივი რესურსები“, 1(2), გვ.64-73, 2022.

11. გივი თალაკვაძე, გიორგი თალაკვაძე

„მომავლის პერსპექტივებისა და პროგნოზების შესახებ“, სტუ ი.ჟორდანიას სახ.საწ.ძალების და ბუნებრივი რესურსების შემსწ. ცენტრი, <http://gtu.ge>, 26.04.2022.

12. გივი თალაკვაძე, გიორგი თალაკვაძე

„სარესურსო პოტენციალის ნეოინდუსტრიული პარადიგმა“, „ეკონომიკური პროფილი“ №17,2(24), გვ.66-72.

13. გ.თალაკვაძე, პ. კოლუაშვილი

„ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება და მისი კავშირი გლობალური ინტეგრალური რესურსების პოტენციალთან“, „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი 15, №1, გვ.23-24, 2023.

14. გ.თალაკვაძე

„მართვის საპროექტო სისტემის შესახებ“, <http://gtu.ge>. 26.03.2023.